საქართველო
საგადასახადო
კოდექსი

ელექტრონული ვერსია
www.csb.gov.ge

ოფიციური და ელექტრონული ხელმოწერა
მმართველობა ხელმოწერაში

N 1

2009 სექტემბერი - 2010 სექტემბერი

საჯარო
სამსახურის
ბიურო

გამოცემა მოამზადეს:

ანა ჯღარკავამ
ქეთევან სამხარაძემ
ირინე სიამაშვილმა

დიზაინი:

გესიკ დანელია

საჯარო სამსახურის ბიურო

თბილისი, ინგოროყვას ქ. N7
ტელ.: + 995 32 93 19 12
ფაქსი: + 995 32 92 33 78
ელ-ფოსტა: csb@csb.gov.ge

www.csb.gov.ge
www.declaration.ge

შინაარსი

07 საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მიმართვა

განსოფლებული პროექტები

09 დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემის ამოქმედება

11 ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების საჯაროობასთან დაკავშირებით განხორციელებული რეფორმა

13 ცვლილებები საჯარო მმართველობის კანონმდებლობაში

სამომავლო პროექტები

16 ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემა

17 საჯარო სამსახურის კოდექსის პროექტი

20 საქართველოში გატარებული ანტიკორუფციული რეფორმების შეფასება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ

22 ინფორმაციული

ოგესალმებით, პატივცემულო მკითხველო! მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ პუბლიკაცია, რომლის მიზანია, გაგაცნოთ საჯარო სამსახურის ბიუროში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ძირითადი რეფორმები. ჩვენი ოფისი განვითარების საკმაოდ მნიშვნელოვან ეტაპზე იმყოფება. იმ რეფორმებს შორის, რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ უკანასკნელი წლების განმავლობაში ტარდება, საჯარო სამსახურის რეფორმა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2009 წლის ზაფხულში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ლიკვიდირებულ იქნა თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო, რომელიც შედიოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში და მისი ფუნქციები შეითავსა საჯარო სამსახურის ბიურომ. შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციები გაფართოვდა. ამჟამად ბიურო კოორდინაციას უწევს რეფორმის პროცესს საჯარო სამსახურში და უზრუნველყოფს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამართულ მუშაობას. ბიურო ფუნქციონირებს დამოუკიდებლად. მის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

რეფორმის შედეგად, ბიუროში განხორციელდა ახალი პროექტები, კერძოდ:

- დაინერგა დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემა;
- თანამდებობის პირთა 47 000 ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია დასკანერდა და დაიდო ჩვენს ვებ-გვერდზე;
- საქართველოს პარლამენტში მოხდა ლობირება რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვანი კანონპროექტის, რომელიც ამარტივებს კონკურსის ჩატარებას საჯარო სამსახურში;
- ჩატარდა კვლევები საზღვარგარეთის ქვეყნებში განხორციელებული საჯარო სამსახურის რეფორმის შესახებ და აღნიშნული კვლევების ანალიზი გამოყენებულ იქნა საჯარო სამსახურის კოდექსის პროექტში.

ჩვენ არ ვგეგმავთ მიღწეულ შედეგებზე გაჩერებას და უახლოეს მომავალში კვლავაც ვაპირებთ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას, რომელთა შორის პრიორიტეტს წარმოადგენს საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დანერგვა და საჯარო სამსახურის ახალი კოდექსის ლობირება საქართველოს პარლამენტში.

დასასრულს, მინდა იმედი გამოვთქვა, რომ აღნიშნული პუბლიკაცია შეასრულებს ჩვენს მიერ დასახულ ფუნქციას და მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნება საჯარო სამსახურის ბიუროს საქმიანობის შესახებ, საზოგადოება გაეცნობა ბიუროს მიერ განხორციელებულ და სამომავლოდ დაგეგმილ პროექტებს. ამასთან, ჩვენ მოხარული ვიქნებით ვუპასუხოთ საჯარო სამსახურთან დაკავშირებულ თქვენს ნებისმიერ შეკითხვას.

ტელ: (995 32) 932102, ელ-ფოსტა: csb@csb.gov.ge, www.csb.gov.ge

ირაკლი კოტეტიშვილი

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი

დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემის ამოქმედება

2010 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემა, რამაც მთლიანად ჩაანაცვლა ქაღალდზე არსებული დეკლარირების სისტემა. აღნიშნული სისტემა შემუშავდა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ და შესაბამისად, მის ადმინისტრირებასაც თავად უზრუნველყოფს.

დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაზე გადასვლით მნიშვნელოვნად დაიხვეწა დეკლარირების პროცესი. თანამდებობის პირთათვის გამარტივდა დეკლარაციის შევსების პროცედურა. ისინი ონლაინ რეჟიმში ავსებენ დეკლარაციას სპეციალურად მათთვის განკუთვნილი უნიკალური პაროლის მეშვეობით, აღარ არის საჭირო ფურცლების ამობეჭდვა, საჯარო სამსახურის ბიუროს ოფისში სტუმრობა. დეკლარანტები უბრალოდ შედიან ვებ-გვერდზე (*www.declaration.ge*), საიდანაც მარტივად ავსებენ დეკლარაციას.

საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად მუშაობს იმ მიმართულებით, რომ უფრო მეტად გამარტივდეს დეკლარაციის შევსების პროცედურა. კერძოდ, დეკლარაციის წარდგენისათვის გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ოცი დღისა, საჯარო სამსახურის ბიურო წერილობით აფრთხილებს თანამდებობის პირს ამის შესახებ და განუმარტავს მას დეკლარაციის დროულად წარუდგენლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. მოცემულ წერილში ასევე მითითებულია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მინიჭებული მომხმარებლის სახელი და უნიკალური პაროლი, რომლებიც გამოიყენება ავტორიზაციისათვის, რათა შემდგომში შესაძლებელი იყოს დეკლარაციის შევსება.



უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული დეკლარირებისათვის შემუშავებული პროგრამა საკმაოდ დახვეწილია. პროგრამის თითოეულ ველს აქვს დახმარების ღილაკი, რომლის გამოყენების შემთხვევაში დეკლარანტი იღებს დეტალურ ინფორმაციას, თუ რა უნდა მიუთითოს მოცემულ ველში. თუ ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ დეკლარანტს მაინც დაებადება კითხვა, საჯარო სამსახურის ბიუროში მოქმედებს ცხელი ხაზი, შესაბამისად, ოპერატორები მზად არიან განმარტონ დეკლარირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი.

შევსებული დეკლარაციები საჯარო და ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე *www.declaration.ge*. აღნიშნულ ვებ-გვერდზე შესაძლებელია დეკლარაციების ძიება სახელის, გვარის და ორგანიზაციის მიხედვით.



აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად ელექტრონული დეკლარირების სისტემა მოქმედებს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში.[1]

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების საჯაროობასთან დაკავშირებით განხორციელებული რეფორმა

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ განხორციელებულ პროექტთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ამბიციურია ჩვენს არქივში დაცული თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების განთავსება საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე (*www.csb.gov.ge*).

საჯარო სამსახურის ბიუროს მხრიდან აღნიშნული პროექტის განხორციელება უდიდესი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებასთან იყო დაკავშირებული. მოხდა ჩვენს არქივში დაცული 47 000 დეკლარაციის სკანირება და მათი PDF ფორმატში გადაყვანა. აღნიშნული პროექტის შემუშავებამდე დეკლარაციის ასლის გაცემის პროცედურა საკმაოდ რთული იყო. დაინტერესებულ პირებს უხდებოდათ საჯარო სამსახურის ბიუროში მოსვლა, განცხადების დაწერა, შემდგომში ხდებოდა განცხადების დაკმაყოფი-

[1] OECD Anti-Corruption Network for Eastern Europe and Central Asia OECD-EU SIGMA programme Draft Study "ASSET DECLARATIONS FOR PUBLIC OFFICIALS – A TOOL TO PREVENT CORRUPTION" (March 31, 2010)



ლება, რაც დროში საკმაოდ იწელებოდა, განსაკუთრებით, თუკი პირი ითხოვდა არაერთი დეკლარაციის გაცნობას. ამასთან, დეკლარაციის ასლის გადაღება არ იყო უფასო.[2]

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ვებ-გვერდზე განთავსებამ ყველა ზემოაღნიშნული პრობლემა მოხსნა. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია შევიდეს ვებ-გვერდზე (*www.csb.gov.ge*) და მომენტალურად მოიპოვოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია ყოველგვარი გადასახადის გარეშე. ვებ-გვერდის შექმნის დღიდან უკვე 26869 დეკლარაცია იქნა ჩამოტვირთული.

ცვლილებები საჯარო სამსახურის მმართველობის კანონმდებლობაში

უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონებში არაერთი ცვლილება შევიდა, რომელთა პროექტის ავტორიც საჯარო სამსახურის ბიურო იყო.

[2] „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლის ერთი გვერდის ღირებულება არის 0,05 ლარი, ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდვის – 0,10 ლარი, ერთ კომპიუტერულ დისკზე ინფორმაციის ჩაწერის ღირებულება წარმოადგენს 2,65 ლარს, ხოლო ერთ დისკეტაზე ინფორმაციის ჩაწერის ღირებულებაა 1,3 ლარი.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2009 წლის 4 დეკემბერს, კერძოდ:

- გაუქმდა საკონკურსო განცხადების მხოლოდ წერილობითი ფორმით წარდგენის ვალდებულება და მის ნაცვლად შესაძლებელი გახდა ელექტრონული განაცხადის შევსებაც
- ავტობიოგრაფიის ალტერნატივად განისაზღვრა CV
- გაუქმდა საჯარო სამსახურში მიღებისას საგადასახადოდან ქონებრივი დეკლარაციის ცნობის წარდგენის ვალდებულება
- გაუქმდა შრომის წიგნაკების წარმოების ვალდებულება
- გაფართოვდა დეკლარირებას დაქვემდებარებულ თანამდებობის პირთა წრე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შრომითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია აღირიცხებოდა შრომის წიგნაკსა და ნამსახურობის ნუსხაში. აღნიშნული სისტემა მოძველებული იყო და ფაქტობრივად შეუძლებელი იყო მისი გაკონტროლება. შრომის წიგნაკების შეძენა თავისუფლად იყო შესაძლებელი. შესაბამისად, ნებისმიერ პირს შეეძლო თვითნებურად შეეტანა ჩანაწერები მასში. ამასთან, შრომის კოდექსით 2006 წლიდან გაუქმებულია შრომის წიგნაკის წარმოების ვალდებულება და კერძო სექტორში აღარ ხდება მისი გამოყენება.

პრაქტიკაში ფაქტობრივად არ ხდებოდა ნამსახურობის ნუსხის გამოყენება და აღნიშნული მოთხოვნა უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამის გათვალისწინებით, 2009 წლის 4 დეკემბერის საკანონმდებლო ცვლილებებით საჯარო სამსახურის დაწესებულებებში გაუქმდა შრომის წიგნაკებისა და ნამსახურობის ნუსხის წარმოების ვალდებულება.

ცვლილებების თანახმად, ცვლილებების ამოქმედებამდე გაცემული შრომის წიგნაკები ინარჩუნებენ ძალას. ამასთან, აღარ ხდება ახალი შრომის წიგნაკების გაცემა. საჯარო მოსამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ კანონის ამოქმედებამდე მასზე გაცემული იყო შრომის წიგნაკი, დაწესებულება ვალდებულია შრომის წიგნაკში შეიტანოს შესაბამისი ჩანაწერი.

2009 წლის 4 დეკემბერს ცვლილებები იქნა შეტანილი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონშიც. აღნიშნული ცვლილებების აუცილებლობა ძირითადად დაკავშირებული იყო თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაზე გადასვლასთან და კანონში არსებულ სხვადასხვა ხარვეზებთან.

ზემოაღნიშნულ კანონში იყო გარკვეული პრობლემები, კანონის ზოგიერთი ჩანაწერი მოძველებული იყო და სრულად არ ასახავდა იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება. ცვლილებებით მოხდა ამ ხარვეზების გასწორება.

აღნიშნული ცვლილებებით, თანამდებობის პირთა ნუსხას დაემატა საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი, მისი მოადგილე, სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირები. ცვლილებებამდე აღნიშნული პირები თანამდებობის პირთა ნუსხაში მოხსენიებულნი იყვნენ სახელმწიფო კანცელარიის უფროსად, მის მოადგილედ, სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსად, აგრეთვე მასთან გათანაბრებულ პირებად, რაც ქმნიდა გარკვეულ პრობლემებს, კერძოდ, აღნიშნული პირების მიერ აღარ ხდებოდა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება. ცვლილებების შემდეგ პრობლემა აღმოიფხვრა.

თანამდებობის პირთა ნუსხას, ასევე, დაემატა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, მისი მოადგილე, სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირები.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ინტერესების გაცხადებისა და გამოქვეყნების საკითხებში („საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის IV თავი) თანამდებობის პირებად ასევე განისაზღვრნენ ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელებიც (მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და სხვა სსიპ-თა ხელმძღვანელები), რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. აღნიშნული ცვლილება ლოგიკურია, ვინაიდან საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება და აუცილებელია, მათი ხელმძღვანელების ქონებრივი მდგომარეობა იყოს საზოგადოების ფართო მასებისათვის გამჭვირვალე.

თანამდებობის პირებს გაეზარდათ თანამდებობაზე გამწესებიდან და გათავისუფლებიდან დეკლარაციის შევსების ვადა. ცვლილებებამდე აღნიშნული ვადა იყო ერთი თვე, ხოლო ცვლილებების შემდეგ 2 თვემდე გაიზარდა.

ცვლილებების თანახმად, საჯარო სამსახურის ბიუროს მოეხსნა ვალდებულება თანამდებობაზე გამამწესებელ ორგანოს გადასცეს შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ასლი, რადგან დაინტერესებულ პირს უკვე ჩვენს ვებ-გვერდზე შეუძლია მისი ნახვა.

საჯარო სამსახურის ბიურო

№ 2563

12- აგვისტო 2010 წ.

ბატონო ირაკლი,

საქართველოს პარლამენტი

ბატონ ირაკლი,

საქართველოს პარლამენტის იმცდარეობა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მუ-14 მუხლის შესაბამისად, ოქტომბერ ეალდებულები ნაირი შეგანილი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციი 01/06/2010-დან 01/06/2010-ის ჩათვლით. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისრებოდა ჯარიმა 1 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 14 იანვრის #22 ბრძანებულების შესაბამისად 2010 წლის 1 თებერვლიდან თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება ინტერნეტ მხარეზე ელექტრონულად.

ელექტრონულ პროგრამაში შესასვლელად და დეკლარაციის შ�sებად, გთხოვთ, ეწვიოთ შემდეგ ვებ-გვერდს: www.declaration.ge შეიყვანეთ შემდეგი სალოგინო-პაროლები:

მოქმედებრივი სახელი:	ირაკლისამსახური	პაროლი:	353544623083

მნიშვნელოვანია!

1. მოქმედებრივის სახელი და პაროლი ყურადღება მოიტანეთ ოქტომბერ და ეალდებულები ნაირი, სიფრთხილე შეინახეთ, რათა არ მოხდეს ოქტომბერ ალეკსანდრის სხვის ხელში ჩავარდნა!

2. მოქმედებრივის სახელია და პაროლის დაკარგვის შემთხვევაში ამ თუ ეკითხეთ ეკნეი, რომ ოქტომბერ ალეკსანდრა შეესაბამება ეგეთ პირის ხელში, გთხოვთ, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეთ "საჯარო სამსახურის ბიურო"-ს ტელ: 0(995 32) 19 28 28, ელფოსტა: declaration@mdi.gov.ge

3. ალეკსანდრის შევსების დასრულების შემდეგ ოქტომბერ სიფრთხილეთ მონაცემებით ალეკსანდრ ოქტომბერ ხელის შეგზავნილი ალეკსანდრა, თუნდაც ალეკსანდრების შეტანის ოქტომბერ ალეკსანდრ შეგიძლიათ ამოიღოთ ალეკსანდრების შეტანა. შეგიძლიათ ალეკსანდრის შევსებიდან 48 საათის განმავლობაში დაუკავშირდეთ ტელ ხაზზე ამ ელფოსტის მეშვეობით. ნებისმიერ შემთხვევაში ოქტომბერ ალეკსანდრის მიერ(ნება სტატუსი "ოფიციალური" და გახდეს საჯარო (ანონიმურად) შეგიძლია მოსაძებნად: www.declaration.ge)

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ბიუროს ტელ ხაზზე: 19 28 28, ელფოსტა: declaration@mdi.gov.ge

პატივისცემით,

ბიუროს უფროსი ირაკლი კოტეტიშვილი

საქართველო, თბილისი, 0134, ფონიჭალის ქ. №7
ტელ: (+995 32) 19 28 28 www.declaration.ge

გაუქმდა დეკლარაციის წარუდგენლობის შემთხვევაში ბიუროს უფროსის მიერ დამატებითი ათდღიანი ვადის მინიჭების წესი. ცვლილებების თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენისათვის გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს 20 დღისა აფრთხილებს პირს ამის შესახებ და განუმარტავს მას დეკლარაციის დროულად წარუდგენლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, ხოლო თუ პირმა მაინც არ წარადგინა დეკლარაცია, იგი ჯარიმდება 1000 ლარით.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დეკლარაციაში მისათითებელ მონაცემებს შორის არ იყო პირადი ნომერი. 2009 წლის 4 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, სავალდებულო გახდა დეკლარაციაში პირადი ნომრის მითითება, რაც სავსებით ლოგიკურია, რადგან შესაძლებელი გახდა პირთა უფრო ზუსტი იდენტიფიცირება.

ცვლილებების შედეგად განისაზღვრა, რომ საჯაროა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარების დეკლარაციაში მოცემული ყველა ინფორმაცია, გარდა საიდუმლო გვერდის, დეკლარაციის პირველ გვერდ-ზე მითითებული პირადი ნომრის, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართისა და პირადი ტელეფონის ნომრისა.

ასევე მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს 2010 წლის ივლისის თვეში „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებში განხორციელებული ცვლილებები, რის შედეგადაც:

- თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენა მოხდება წელიწადში ერთხელ;
- გაუქმდა მოხელეთა რეზერვი, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ანტიკორუფციულ ღონისძიებეთა პროგრესის შენარჩუნებისა და არსებული მექანიზმების განმტკიცების მიზნით კანონის დონეზე შეიქმნა უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭო.

ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემა

ჩვენმა უწყებამ დაიწყო მუშაობა სახელმწიფო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი სტანდარტული ელექტრონული პროგრამის შემუშავებაზე. ყველა საჯარო სამსახურის დაწესებულებაში დაინერგება საჯარო მოსამსახურეთა თანამედროვე ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომელსაც თავად უწყება გამოიყენებს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში. დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის სამსახურები შეძლებენ თანამშრომელთა შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის (სახელი, გვარი, თანამდებობა, ინფორმაცია შვებულების შესახებ, ინფორმაცია მივლინების შესახებ, თანამდებობრივი გადაადგილება, ინფორმაცია წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ და სხვ.) ასახვას ბაზაში. ფაქტობრივად შეიქმნება მოხელეთა ელექტრონული პირადი საქმეები.

ამ სისტემის შექმნა მეტად მნიშვნელოვანია საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის გამჭვირვალობისა და ეფექტურობის ამაღლებისათვის, საქმიანობის შეფასების ეფექტურობის გაზრდისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის.

საჯარო მოსამსახურეთა ერთიანი ელექტრონული ბაზის გამოყენება შესაძლებელი იქნება საჯარო სამსახურის შესახებ კვლევების ჩასატარებლად და საჯარო სამსახურში პოლიტიკის უკეთ განსასაზღვრად.

ჩვენი ვარაუდით, აღნიშნული პროგრამის ამოქმედება შესაძლებელი გახდება 2010 წლის 1 ოქტომბრისთვის.

საჯარო სამსახურის კოდექსის პროექტი

საჯარო სამსახურის რეფორმა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შემუშავებულ იქნა საჯარო სამსახურის კოდექსის პროექტი, რომელმაც ახალ საფეხურზე უნდა აიყვანოს საჯარო სამსახურის საქმიანობის სტანდარტები.

საჯარო სამსახურის კოდექსის პროექტი აგებულია დასავლურ სტანდარტებზე და ითვალისწინებს მხოლოდ კრიტიკულად აუცილებელ ნორმებს საჯარო სამსახურის შესახებ.

პროექტის თანახმად, შრომითი ურთიერთობები ძირითადად მოწესრიგდება შრომითი კანონმდებლობით და დაქირავებულ პირთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

პროექტი ასევე აწესრიგებს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობასა და კორუფციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კოდექსის პროექტში მოცემულია საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავებული საჯარო მოსამსახურეთა ქცევის წესები.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა პოლიტიკური და აღმასრულებელი ნაწილების გამიჯვნა, რაც გულისხმობს იმას, რომ საჯარო სამსახურის ინსტიტუციური სტრუქტურა გაიყოფა პოლიტიკურ და აღმასრულებელ ნაწილებად. ზემოაღნიშნულ სისტემაში პოლიტიკური ნაწილი მიიღებს მხოლოდ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, უშუალოდ არ განახორციელებს დაწესებულების ადმინისტრირებას. რაც შეეხება აღმასრულებელ ნაწილს, იგი სტაბილური იქნება და პოლიტიკური პროცესები მასზე ზეგავლენას არ მოახდენს. კოდექსის პროექტში ვხვდებით აღმასრულებელი დირექტორის (დაწესებულების ხელმძღვანელის (CEO) თანამდებობას, რომელიც ადმინისტრირებას გაუწევს დაწესებულებას.



პოლიტიკური და აღმასრულებელი ნაწილების გამიჯვნას ვხვდებით ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: შვედეთი, ახალი ზელანდია, გაერთიანებული სამეფო. აღნიშნულ სახელმწიფოებში უწყებებს მართავენ ხელმძღვანელები (General Director, Chief Executive, Permanent Secretary), ხოლო პოლიტიკას შეიმუშავებენ მთავრობაში შემავალი მინისტრები. მინისტრების/პოლიტიკური თანამდებობის პირების ცვლილება არ იწვევს უწყების აღმასრულებელი ხელმძღვანელის ცვლილებას.

პროექტის მიხედვით, საჯარო სამსახურში გამწესებისათვის დადგენილი მინიმალური ასაკი შემცირდება 21 წლიდან 18 წლამდე.

კანონპროექტის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებსაც ექნებათ შესაძლებლობა დაიკავონ თანამდებობები საჯარო სამსახურში, გარდა პოლიტიკური და სახელმწიფო მოხელის თანამდებობებისა.

კანონპროექტით მკაფიოდ გაიმიჯნა თანამდებობები, რომლებზედაც პირი შეიძლება გამწესდეს კონკურსის და პირდაპირი დანიშვნის, არჩევის წესით.

აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე კონკურსს ჩაატარებს საჯარო სამსახურის ბიურო, ხოლო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს განსაზღვრავს უფლებამოსილი პოლიტიკური ან სახელმწიფო მოხელე ბიუროს უფროსთან შეთანხმებით.

შერჩეულ კანდიდატთან ხელშეკრულებას აფორმებს უფლებამოსილი პოლიტიკური ან სახელმწიფო მოხელე და ბიუროს უფროსი კოდექსის პროექტით დადგენილი ხელშეკრულების ზოგადი პრინციპების საფუძველზე.

აღმასრულებელ დირექტორს უფლებამოსილება შეუწყდება არა უფლებამოსილი პოლიტიკური ან სახელმწიფო მოხელის გათავისუფლების, არამედ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო.



აღმასრულებელ დირექტორს ექნება სრული დისკრეცია თავის სააგენტოში მიიღოს საჯარო მოხელე. თუმცა, ასეთი კონკურსი ყველა შემთხვევაში უნდა ჩატარდეს არადისკრიმინაციულად და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით.



საჯარო სამსახურში მიღების ამგვარ სისტემას ვხვდებით, მაგალითად ახალ ზელანდიაში. ახალი ზელანდიის სახელმწიფო სექტორის აქტის (1988) თანახმად, დაწესებულების ხელმძღვანელი სამსახურში მიღება სახელმწიფო კომისიონერის მიერ ჩატარებული კონკურსის საფუძველზე. დაწესებულების შიგნით, პირის სამსახურში მიღებისას, დადგენილი მინიმალური მოთხოვნების ფარგლებში, ხელმძღვანელს გააჩნია სრული ავტონომია.

აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობის შეფასება მოხდება უფლებამოსილი პოლიტიკური ან სახელმწიფო მოხელის მიერ, აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშს წარადგენს წელიწადში ორჯერ ან უფრო ხშირად.

საქართველოში გატარებული ანტიკორუფციული რეფორმების შეფასება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ

2010 წლის 15 აპრილს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა მონიტორინგის მეორე რაუნდის ანგარიში, რომლის შესაბამისად საქართველო წარმატებით ახორციელებს ანტიკორუფციულ რეფორმებს, დადებითად არის შეფასებული მათ მიერ განეული რეკომენდაციების შესრულების პროცესიც[3].

ანგარიშში ანტიკორუფციული პოლიტიკის ერთ-ერთ პოზიტიურ ფაქტორად არის მოხსენიებული 2008 წელს ანტიკორუფციული საბჭოს ჩამოყალიბება, კორუფციის კრიმინალიზაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კორუფციის პრევენციის მხრივ, მნიშვნელოვან პროგრესად არის მიჩნეული 2009 წელს მიღებული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ. ზემოაღნიშნული მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად არის დასახელებული „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში მამხილებლის დაცვის წესების შემოღებაც.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2009 წლიდან თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მიღებაზე პასუხისმგებელი ორგანოა საჯარო სამსახურის ბიურო და მნიშვნელოვან ნაბიჯად არის მიჩნეული ბიუროს მიერ აღნიშნული დეკლარაციების ვებ-გვერდზე განთავსება.

საქართველოში კორუფციის დონე გასული ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა, (CPI) 2.0-დან 4.1-მდე (სადაც 10 კორუფციის გარეშე – 0 კორუფციის მაღალი დონე). საქართველო ამ მაჩვენებლით ევროკავშირის ზოგიერთ წევრ ქვეყანას უსწრებს წინ, კერძოდ ბულგარეთს, რუმინეთს და საბერძნეთს[4].

[3] OECD Anti-Corruption Network for Eastern Europe and Central Asia Istanbul Anti-Corruption Action Plan Second Round Monitoring Georgia Draft Report (30 March, 2010)

[4] www.transparency.ge



ანტიკორუფციული მიმართულებით მიღწეულმა პროგრესმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ ფაქტორებზე. Doing Business-ის უკანასკნელი ანგარიშის თანახმად საქართველო დაწინაურდა, მეთექვსმეტედან მეთერთმეტე ადგილზე გადაინაცვლა და ახლა ასეულში იმყოფება ყველა მაჩვენებლით, ხოლო ოთხი მაჩვენებლის მიხედვით ათეულში მოხვდა[5].

	2010	2009
სინგაპური	**1**	**1**
საქართველო	**11**	**16**
შვეიცარია	**21**	**15**

[5] www.doingbusiness.org

ინტერვიუები

ფრანსისკო კარდონა

უფროსი ადმინისტრატორი, მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების მხარდაჭერა/ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია

OECD ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია

ORGANISATION FOR ECONOMIC CO-OPERATION AND DEVELOPMENT

ოლგა სავრანი

მენეჯერი, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელი; ანტიკორუფციული განყოფილება; ფინანსური და სამეწარმეო საქმიანობის დირექტორატი; ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია

გასული რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა რიგი რეფორმებისა, დაკავშირებული საჯარო სამსახურის გაუმჯობესებასა და მის შემდგომ განვითარებასთან. როგორ შეაფასებთ საქართველოს მთავრობის მიერ კორუფციულ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაციისა და მთავრობის საქმიანობის მომატებული გამჭვირვალობის მიმართულებით დაგადგმულ ნაბიჯებს?

ფრანსისკო კარდონა: ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ საჯარო სამსახურის რეფორმა არის პოლიტიკური ძალისხმევა. საჯარო სამსახურის პროფესიონალიზაციით თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ დადებითი შედეგი კორუფციის შემცირების საქმეში. საჯარო სამსახურის რეფორმის მთავარი მიზანია დემოკრატიულ კონტექსტში უზრუნველყოს, რომ საჯარო სამსახური ხელმძღვა-

ნელობდეს სამართლის ნორმით, მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის შესაბამისად და პატივს სცემდეს მოქალაქეთა უფლებებს. ეს არის საჯარო სამსახურის მთავარი ამოცანა, თუმცა, როგორც გითხარით პარალელურად შეუძლია შეამციროს კორუფცია. ამასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ საქართველოს მთავრობა მზად არის წამოიწყოს უმთავრესი რეფორმა საჯარო სამსახურში მისი მოდერნიზაციისათვის: როგორ იმართება საჯარო სამსახური და რამდენად მორგებულია, საჯარო სამსახური ემსახუროს ქართველ საზოგადოებას და ეს კარგი ნაბიჯია. ეს არის ძალიან პოზიტიური განვითარება და ჩვენ ძალიან მოხარული ვიქნებით, თქვენთან ერთად ჩავებათ ამ განვითარებაში.

ოლგა სავრანი: თუ დავიწყებ თქვენი შეკითხვის პირველი ნაწილით, რომელიც ეხება ანტიკორუფციულ საქმიანობას, ამის უკეთესი შეფასება იქნება ორი ანგარიში, დაბეჭდილი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანტიკორუფციული ქსელის მიერ. პირველი ანგარიში გამოქვეყნდა 2006 წ. და მეორე – ერთი კვირის წინ ჩვენს ვებ-გვერდზე. იქ გაეცნობით საქართველოს მთავრობის ანტიკორუფციული ქსელის OECD-ის ოფიციალურ შეფასებას, მაგრამ მთლიანობაში, ჩვენ ვეთანხმებით ბევრ საერთაშორისო დამკვირვებელს, რომ მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული საქართველოში ადმინისტრაციული კორუფციის შემცირების თვალსაზრისით, თუმცა, ჩვენი შეფასებით, ეს პროგრესი ძირითადად მიღწეულ იქნა სამართალდამცავი ორგანოების, პროკურატურის უდიდესი ძალისხმევით, დანაშაულის გამოვლენით და სამართლებრივი დევნით და, ალბათ, ამ პროგრესის უმცირესი ნაწილი განხორციელდა საჯარო სამსახურის ნებისმიერი სისტემური რეფორმის წყალობით, საიდანაც იწყება თქვენი შეკითხვა. მთავრობის გამჭვირვალობის პირობებში ჩვენ ასევე ვხედავთ დიდ პროგრესს სხვადასხვა სამთავრობო სააგენტოების მიერ ინფორმაციის პროაქტიული ან მოთხოვნისამებრ მიწოდების საფუძველზე არასამთავრობო ორგანიზაციების, საჯარო სამსახურის საზოგადოების და ჩვეულებრივი მოქალაქეების მეშვეობით. ამ შემთხვევაში შეინიშნება გამჭვირვალობის გაუმჯობესება, თუმცა ვერ გეტყვით, რომ OECD-ის მოხსენებებში ჩვენ გვაქვს ნათელი შეფასება იმაზე, რომ ეს რომელიმე სისტემური რეფორმის წყალობით მოხდა, თუ იყო მრავალი უწყების მიერ განხორციელებული პოლიტიკური გადაწყვეტილება. ანგარიში მიუთითებს, რომ პარტიების დაფინანსების ქართული სისტემა შეიცავს ძირითად წესებს ევროპის სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისად. მისი ნაკლია სათანადო მონიტორინგისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ პარტიის დაფინანსების კონტროლი. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ გააჩნია არც მანდატი, არც რესურსები, რომ ყურადღებით გააკონტროლოს პარტიის დაფინანსების კანონმდებლობასთან

შესაბამისობა. მონიტორინგისა და ზედამხედველობის ასეთი მექანიზმის გარეშე პოლიტიკური პარტიის დაფინანსების ასეთი სისტემა არ არის სრულყოფილი და ამაოს ხდის პარტიის შეწირულობების შესახებ დადგენილებას. ჩემი აზრით, ანგარიში მიუთითებს, რომ არ არსებობს აშკარა ფაქტებზე დაფუძნებული მტკიცებულება, რომ ამჟამად საქართველოში არსებობს ასეთი პრობლემა.

რა შეგიძლიათ თქვათ საქართველოში საჯარო სამსახურის რეფორმის მიმართულების შესახებ?

ფრანსისკო კარდონა: საჯარო სამსახურის რეფორმის ამოცანების დასადგენად, უპირველესად, უნდა დახარჯო დრო და ძალისხმევა და შეეცადო მიაღწიო კონსესუსს რაც შეიძლება მეტ ადამიანთან სხვადასხვა დაწესებულებიდან, სახელმწიფო ორგანიზაციებიდან, პოლიტიკური პარტიებიდან და ა.შ. გარკვეული საერთო ურთიერთგაგების შესაქმნელად ამასთან დკავშირებით, თუ რა არის ამ რეფორმის საბოლოო დანიშნულება, რადგან სხვაგვარად ჩვენ შესაძლოა გამოგვრჩეს სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საკითხები. ნებისმიერი რეფორმის დაწყებამდე უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეს რეფორმა: პირველი, იქნება სანდო, მეორე, იქნება სასარგებლო და მესამე, მას მიიღებს საზოგადოების უმეტესობა ზოგადად. ამ ეტაპზე ეს იქნება ჩემი რეკომენდაცია.

2010 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების ელექტრონული სისტემა. ამჟამად, დეკლარაციების წარდგენის ფორმა თანამდებობის პირთათვის არის მხოლოდ ელექტრონული. აღნიშნული სისტემის ადმინისტრატორი არის საჯარო სამსახურის ბიურო. გთხოვთ თქვენი მოსაზრება გამოთქვათ ამ ინოვაციასთან დაკავშირებით.

ოლგა სავრანი: ჩვენი აზრით, ეს პოზიტიური ნაბიჯია და ასევე კარგია, რომ არსებობს ერთი სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია ამ ქონებრივ დეკლარაციებზე. ვფიქრობ, რომ სწორი მიმართულებით მოძრაობთ, მაგრამ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ გაცნობიერებულ იქნეს ამ სისტემისათვის მიმატებული ღირებულება და მისი ეფექტურობა. მცირე ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით მე მესმის, რომ ამ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენა ხდება ელექტრონული ფორმით და მერე გადაგყავთ PDF ფორმატში და ათავსებთ ონლაინ რეჟიმში. ბოლო შეკითხვა, რომელიც ჩვენ გვქონდა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებთან დაკავშირებით საქართველოსთან ჩვენი უკანასკნელი ინტერვიუს დროს, იყო ამ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შემოწმება. არ არის აუცილებელი არსებობდეს უზარმაზარი სისტემა, რომელიც ყველაფერს შეამოწმებს და გააკონტროლებს. აი ეს არის ის სფერო, რომელიც არ იქნა ასახული

უახლოეს ანგარიშში საქართველოსთვის იმიტომ, რომ მთავრობამ არ მიიღო ის, მაგრამ ჩვენ მაინც დაჟინებით ვამტკიცებთ, რომ სასარგებლო იქნება ამ სფეროს კვლევა, არსებობს თუ არა დეკლარაციების ასეთი შემთხვევითი შემოწმების/კონტროლის ან მისი სხვა ფორმების საჭიროება.

საჯარო მოხელეთა 47 000 ქონებრივი დეკლარაცია იქნა სკანირებული და გადაყვანილი PDF ფორმატში. ეს დეკლარაციები ატვირთულ იქნა საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე. ყველა წინა და მიმდინარე ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. გთხოვთ გაგვაცანით თქვენი მოსაზრება, თუ რამდენად უწყობს ხელს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების ელექტრონული სისტემა ანტიკორიფციული რეფორმის განვითარებას.

ოლგა სავრანი: ეს ემთხვევა ჩვენს ადრინდელ რეკომენდაციას, რომ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები საჯარო უნდა იყოს და მოხარულები ვართ, რომ საქართველოში ასე განვითარდა მოვლენები. როგორც იცით, წარსულში დეკლარაციები ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მოთხოვნისამებრ.

თქვენი კომენტარები ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევთ.

ოლგა სავრანი: ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს ანტიკორუფციული რეფორმა არის საკმაოდ წარმატებული და მეტად უნიკალური ყოფილ საბჭოთა კავშირის რეგიონში და საქართველომ მოწონება დაიმსახურა ამასთან დაკავშირებით. თუმცაღა, საჯარო სამსახურის რეფორმის სფეროში შესაძლოა სასარგებლო იყოს საქართველოს ხელისუფლების ორგანოებისათვის, დაინახონ, თუ როგორ განხორციელდა მსგავსი რეფორმები აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით, უახლეს კანდიდატ ქვეყნებში ან ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში. რაც ჩვენ იქ ვნახეთ, არის უზარმაზარი შენელება ან თუნდაც უკურეფორმები და უმთავრესი საშიშროება, რაც შეინიშნება ამ ქვეყნებში, არის საჯარო სამსახურის პოლიტიზირება. არჩევნების წყალობით ახალი მთავრობა ცვლის ყველას საჯარო ადმინისტრაციაში და ამგვარად, ისინი ვერ უზრუნველყოფენ, რომ საჯარო სამსახურმა გაწიოს მომსახურება ქვეყნის საზოგადოებისათვის და არა – პარტიისათვის და ძალაუფლებისათვის. ამჟამად ასეთი საშიშროება საქართველოს არ ემუქრება, თუმცა მისი წარმოშობა გამორიცხული არ არის. ეს ნაწილობრივ უკავშირდება ანტიკორუფციულ თემას და ვფიქრობთ ეს უდავოდ უნდა იყოს საქართველოში საჯარო სამსახურის სამომავლო რეფორმის შემადგენელი ნაწილი.

ბატონი პერ ეკლუნდი

ელჩი,
ევროკავშირის წარმომადგენლობის
ხელმძღვანელი საქართველოში

2004 წლიდან საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა საჯარო სამსახურის გაუმჯობესება და მისი შემდგომი განვითარება. ამასთან დაკავშირებით ინიცირებულ იქნა რიგი რეფორმებისა, განსაკუთრებით: 1) კორუფციულ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაცია; 2) მთავრობის საქმიანობის მომატებული გამჭვირვალობა. როგორ შეაფასებდით საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯებს?

ევროკავშირი მიესალმება საჯარო მმართველობის მოდერნიზებას საქართველოში. ევროკავშირის – საქართველოს სამოქმედო გეგმის ძირითადი ამოცანები მოიცავს საჯარო სამსახურის გამჭვირვალობისა და რაციონალური ანგარიშვალდებულების ზრდას. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ გარდამავალ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, საჯარო სამსახურის მოდერნიზება არ წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ ძირითად რეფორმას, არამედ მოიცავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მუდმივ მისწრაფებას, მიმართულს ხარისხის, ანგარიშვალდებულების და მომსახურების დონის გაუმჯობესებისაკენ.

2010 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდა თანამდებობის პირთათვის სავალდებულო ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების ელექტრონული სისტემა. აღნიშნული სისტემის ადმინისტრატორი არის საჯარო სამსახურის ბიურო. გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ეფექტურობისა და გამჭვირვალობის ზრდის მიზნით მთელ მსოფლიოში დაგეგმილი და ამოქმედებული ელექტრონული მმართველობის მექანიზმები უსათუოდ გამართლებულია. აქედან გამომდინარე, ჩვენ მივესალმებით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გადადგმულ ამ და სხვა ნაბიჯებს.

საჯარო მოხელეთა 47 000 ქონებრივი დეკლარაცია იქნა სკანირებული და გადაყვანილი PDF ფორმატში. ეს დეკლარაციები ატვირთულ იქნა საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე. ყველა წინა და მიმდინარე ქონებრივი დეკლარაცია ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. გთხოვთ გაგვაცანით თქვენი მოსაზრება, თუ რამდენად უწყობს ხელს ქონებრივი დეკლარაციის შევსების ელექტრონული სისტემის საჯაროობა ანტიკორიფციული რეფორმის განვითარებას.

გამჭვირვალობა, ისევე როგორც კანონიერება, ობიექტურობა, ანგარიშვალდებულება და ეფექტურობა წარმოადგენს საჯარო მმართველობის საფუძველს. ქონებრივი დეკლარაციების საჯაროობა უსათუოდ შეიტანს წვლილს საჯარო სამსახურის მიმართ მოქალაქეთა ნდობის ზრდაში. ევროკავშირის რიგ ქვეყნებში ამოქმედდა ან წარმოდგენილ იქნა მსგავსი მექანიზმები, რაც უფრო ფართო სისტემის ნაწილია და უზრუნველყოფს საჯარო მოხელეების მიერ პირადი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით განხორციელებული თვითნებური ქმედებების აღკვეთას. ნება მიბოძეთ, დავამატო, რომ საქართველოში საჯარო სამსახურის ბიუროს ძალისხმევა, დააბალანსოს გამჭვირვალობის მაღალი დონის უზრუნველყოფა და თითოეული საჯარო მოხელის ინტერესების გათვალისწინება, ევროპის საჯარო სამსახურის მმართველი უწყებების მიერ დიდ მოწონებას იმსახურებს.

შეკითხვა: საჯარო სამსახურის ბიუროს სამომავლო პროექტები მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვასა და საჯარო სამსახურის კოდექსის პროექტის წარდგენას. გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი აზრი თუ როგორ იმოქმედებს აღნიშნული რეფორმები ზოგადად საჯარო სამსახურზე?

რაც არ უნდა შაბლობურად ჩანდეს, საჯარო მოხელეები წარმოადგენენ ნებისმიერი საჯარო სამსახურის ძირითად ფასეულობას. საჯარო მოხელეების ერთიანი ელექტრონული ბაზის ამოქმედება თითოეული საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს მისცემს შესაძლებლობას, შეარჩიოს შესაბამისი

კადრები მათი გამოცდილების, უნარ-ჩვევების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასეთი მექანიზმი ასევე ხელს შეუწყობს საჯარო მოხელეთა გადაადგილების გაუმჯობესებას და საჯარო სამსახურის პროფესიულ სრულყოფას.

რაც შეეხება საჯარო სამსახურის კოდექსის პროექტს, ევროკავშირი ამ იდეას დასაწყისიდანვე ემხრობოდა. ითვალისწინებს რა საჯარო მოხელეების კონსტიტუციურ როლს, ევროკავშირი მიიჩნევს, რომ მათი სტატუსი უნდა დარეგულირდეს სპეციალური საკანონმდებლო აქტებით.

თქვენი კომენტარები ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევთ.

დასასრულს მინდა აღვნიშნო ლისაბონის შეთანხმების 197-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს წევრი სახელმწიფოების საჯარო მმართველობის გაუმჯობესებას. შეთანხმების აღნიშნული განმარტება ასახავს ევროკავშირის დამოკიდებულებას საჯარო მმართველობის მნიშვნელობის მიმართ. მართებული იქნება იმის თქმა, რომ ევროკავშირის ფარგლებში საჯარო სამსახურის მმართველი ორგანოები უკვე მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობენ, რათა განსაზღვრონ და დანერგონ საჯარო მმართველობის პრინციპებისა და პრაქტიკის ზოგადი სტანდარტები, რასაც ჩვენ ევროპული მმართველობის სივრცეს ვუწოდებთ.

ჩვენი კომპლექსული ინსტიტუციური უწყების საშუალებითა და სხვა ზომებით, მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ საქართველოს ხელმძღვანელობას საჯარო მმართველობის მოდერნიზების საკითხებში.

ვახტანგ ლეჟავა

მმართველობისა და ეკონომიკურ საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფის (სამსახურის) უფროსი

როგორ აფასებთ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობის მიერ ანტიკორუფციული მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს?

ვფიქრობ, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში ანტიკორუფციული მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები უპრეცენდენტოა. ძნელად მოიძებნება ან თითქმის არ მოიძებნება ქვეყანა, რომელმაც ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში შეძლო ასეთი გარღვევა და კორუმპირებულიდან არაკორუმპირებულ ქვეყნად ტრანსფორმირდა. ამაზე მეტყველებს ძალიან ბევრი დამოუკიდებელი წყარო, მათ შორის საერთაშორისო გამჭვირვალობის კვლევები და სხვა. ასე რომ, ეს არ არის მხოლოდ საქართველოს მთავრობის აზრი.

გთხოვთ გააკეთოთ კომენტარი ქართული საჯარო სამსახურის დასავლურ სტანდარტებთან მიახლოების მიმართულებით გატარებული რეფორმების შესახებ.

ბოლო წლების განმავლობაში ქართული საჯარო სამსახური საკმაოდ დაუახლოვდა მსოფლიო სტანდარტებს. პირველ რიგში ძალიან გაიზარდა ეფექტურობა, არა მარტო იმიტომ, რომ კორუფცია შემცირდა მინიმუმამდე, არამედ იმის გამოც, რომ სამოტივაციო სისტემა საჯარო სამსახურში ბევრად უფრო დახვეწილია. საჯარო სამსახურმა შეძლო ბევრი ნიჭიერი და უნარიანი ადამიანის მოზიდვა. გადაწყვეტილებების მიღება ხდება სწრაფად და ეფექტურად. სხვადასხვა სამსახურს შორის კოორდინაცია ძალიან მჭიდრო და ეფექტურია, თვითონ მომსახურების ხარისხი, რომელ-

საც საჯარო სამსახური უწევს საქართველოს მოსახლეობას ზოგიერთ შემთხვევაში მსოფლიო სტანდარტების შესაბამისია. უმეტეს შემთხვევაში კი ის აკმაყოფილებს ყველა იმ საბაზო სტანდარტს, რომელიც ასეთი მომსახურებისთვის არსებობს. იმ თანხისთვის, რომელსაც ქართველი საზოგადოება იხდის საჯარო სამსახურში, ის იღებს საკმაოდ მაღალ გადაწყვეტილების მიღების ეფექტს კოორდინაციის და ასევე მომსახურების გაწევის თვალსაზრისით.

გთხოვთ, გაგვაცნოთ თქვენი მოსაზრება, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს რეფორმა საჯარო სამსახურში.

საჯარო სამსახურში რეფორმა უნდა გაგრძელდეს იმავე მიმართულებით: პირველი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კორუფციასთან ბრძოლა არასდროს არ არის დასრულებული და კორუფციული რისკები ყოველთვის უნდა შეფასდეს. მეორე, სამოტივაციო სისტემა კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს და ეკონომიკის და საზოგადოების ცხოვრების განვითარებასთან ერთად ისიც უნდა განვითარდეს. მესამე, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტურობა შესაძლებელია კიდევ უფრო გაიზარდოს და რა თქმა უნდა გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით კოორდინაციის მექანიზმებს სჭირდება უფრო მეტი ინსტიტუციონალიზება. მეოთხე, საჯარო სამსახური კიდევ უფრო უნდა იყოს დამყარებული ეგრეთ წოდებულ მერიტოკრატიულ პრინციპებზე ანუ ღირსებებზე და უნარებზე საჯარო მოსამსახურეებში. ამას კიდევ სჭირდება განვითარება, ხელშეწყობა და, ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს ჩვენი რეფორმების გენერალური ხაზი. ჩვენ სწორ გზაზე მივდივართ და უბრალოდ უნდა გავაგრძელოთ ამ მიმართულებით სვლა.

გთხოვთ, გაგვაცნოთ თქვენი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ იქნა დაწუნებული საჯარო სამსახურის შესახებ კოდექსის პროექტი, რომელიც ინიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტში 2007 წელს.

ყველას თავისი მოსაზრება აქვს, თუ რატომ ვერ მოხერხდა ამ კოდექსის მიღება 2007 წელს. ჩემი აზრით, ამ კოდექსში არ იყო სრულად ასახული ის პროგრესი, რომელიც საჯარო სამსახურმა განიცადა ბოლო სამი წლის განმავლობაში და არ ჩანდა პერსპექტივა, რომლითაც უნდა განვითარებულიყო საჯარო სამსახური. შესაძლოა ამ კოდექსის ერთ-ერთი სისუსტე იყო, რომ ის ცდილობდა გარკვეულ აბსტრაქტულ გარემოში სამოდელო (ეს მოდელი საკამათო შეიძლება იყოს) საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებას, რომელიც შორს იყო არსებული ტენდენციებისა და რეალობისაგან.

რაც მთავარია, ამ კოდექსმა ვერ აითვისა ის მთავარი და დადებითი, რაც იმ დროისთვის იყო საჯარო სამსახურში.

2010 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ელექტრონული სისტემა. გთხოვთ მოგვახსენოთ თქვენი აზრი ამ ნოვაციის შესახებ.

რაც შეეხება დეკლარირების ელექტრონულ სისტემას, მე შემიძლია მისი ორგვარად შეფასება – უბრალო დეკლარანტისა და საკუთარი თანამდებობის პოზიციიდან. როგორც დეკლარანტმა, ვისარგებლე ამ სისტემით და დღეს წარვადგინე ჩემი ელექტრონული დეკლარაცია. საკმაოდ ორიენტირებულია მომხმარებელზე, კარგი ინტერფეისი აქვს. ხოლო რაც შეეხება ჩემს თანამდებობრივ პოზიციას, მე ვფიქრობ, რომ ეს არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი მეტი გამჭვირვალობისკენ და ანგარიშვალდებულებისკენ საჯარო მოსამსახურეების მხრიდან. ძალიან ცოტა ქვეყანაში არის დანერგილი, ერთი მხრივ ასეთი მაღალტექნოლოგიური და, მეორე მხრივ, გამჭვირვალე სისტემა.

რამდენად უწყობს ხელს აღნიშნული სისტემის საჯაროობა ანტიკორუფციული რეფორმის განვითარებას?

ეს სისტემა ხელს უწყობს საჯაროობას და გამჭვირვალობას, ასევე მნიშვნელოვანწილად – კორუფციის პრევენციას. ჩემი აზრით, ბევრმა ქვეყანამ შეიძლება მიბაძოს საქართველოს.